სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა

KA080193453045821

№ 660 02 / მარტი / 2021 წ.

ა(ა)იპ „ყაზბეგის მუნიციპალიტეტის განათლების კულტურისა და სპორტის განვითარების ცენტრისთვის“ სახელმწიფო შესყიდვების გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე

აღწერილობითი ნაწილი

1. ინფორმაცია მომართვის თაობაზე

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2021 წლის 24 თებერვალს სახელმწიფო შესყიდვის ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულის მეშვეობით წარმოდგენილ იქნა ა(ა)იპ „ყაზბეგის მუნიციპალიტეტის განათლების კულტურისა და სპორტის განვითარების ცენტრის“ SMP210000552 და SMP210000553 მომართვები გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით გამარტივებული შესყიდვების განხორციელებაზე თანხმობის გაცემის შესახებ.

2. შესყიდვის ობიექტი და ღირებულება

მომართვის მიხედვით, შემსყიდველი ორგანიზაცია გეგმავს, ტრანსპორტის და სასტუმროში განთავსების და კვების მომსახურების (CPV- 55100000 - სასტუმროს მომსახურება; 55300000 - რესტორნებისა და კვების საწარმოების მომსახურეობები; 60100000 - საავტომობილო ტრანსპორტის მომსახურებები) შესყიდვას, საერთო ღირებულებით 16752 ლარი.

3. შემსყიდველი ორგანიზაციის დასაბუთება

შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, ა(ა)იპ „ყაზბეგის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურისა და სპორტის განვითარების ცენტრის“ ბაზაზე არსებულ რაგბის კლუბ „ყაზბეგის“ საქართველოს ჩემპიონატის პირველ ლიგაში გასამართ ფინალურ შეხვედრებში მონაწილეობისთვის საჭიროა ზემოაღნიშნული შესყიდვის განხორციელება. აღსანიშნავია, რომ ფინალური ეტაპის შეხვედრების დაწყების თარიღის შესახებ რაგბის კავშირის მიერ გადაწყვეტილება მიღებული იქნა 22 თებერვალს.

შემსყიდველი ორგანიზაციისვე განმარტებით, გადაუდებელი აუცილებლობის ვითარების დადგომა გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ ფინალური ეტაპის შეხვედრების დაწყების თარიღის შესახებ რაგბის კავშირის მიერ გადაწყვეტილება მიღებული იქნა 2021 წლის 22 თებერვალს, რომლის წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელი იყო. აღსანიშნავია, რომ შექმნილი ვითარება მნიშვნელოვან ზიანს აყენებს შემსყიდველი ორგანიზაციის ფუნქციონირებას, ვინაიდან, შესყიდვის განუხორციელებლობის შემთხვევაში კლუბი „ყაზბეგი“ საქართველოს ჩემპიონატის პირველ ლიგაში გასამართ ფინალურ შეხვედრებში მონაწილეობას ვერ მიიღებს. შესაბამისად, საჭიროა შესყიდვა განხორციელდეს დროულად.

4. დაინტერესებული პირ(ებ)ის მოსაზრება

საკითხთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირებს სისტემის SMP მოდულში მოსაზრება არ გამოუხატავთ.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

სააგენტომ იმსჯელა შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვაზე, შეაფასა მასში მითითებული ინფორმაცია და დაადგინა, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17

აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მოთხოვნებს.

6. სააგენტოს შეფასება

სააგენტო მიიჩნევს, რომ სახეზეა გადაუდებელი აუცილებლობით შესყიდვის განხორციელების საჭიროება, იმდენად რამდენადაც, როგორც მომართვიდან ირკვევა, გადაუდებელი აუცილებლობის ვითარების დადგომა გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ ფინალური ეტაპის შეხვედრების დაწყების თარიღის შესახებ რაგბის კავშირის მიერ გადაწყვეტილება მიღებული იქნა 2021 წლის 22 თებერვალს, რომლის წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელი იყო. აღსანიშნავია, რომ შექმნილი ვითარება მნიშვნელოვან ზიანს აყენებს შემსყიდველი ორგანიზაციის ფუნქციონირებას, ვინაიდან, შესყიდვის განუხორციელებლობის შემთხვევაში კლუბი „ყაზბეგი“ საქართველოს ჩემპიონატის პირველ ლიგაში გასამართ ფინალურ შეხვედრებში მონაწილეობას ვერ მიიღებს. შესაბამისად, საჭიროა შესყიდვა განხორციელდეს დროულად.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტოს მიზანშეწონილად მიაჩნია, შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ მოცემული შესყიდვები განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

ამასთან, სააგენტო მოუწოდებს შემსყიდველ ორგანიზაციას, რომ მან სახელმწიფო შესყიდვები განახორციელოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა განუხრელი დაცვით, რათა კონკურენტული და არადისკრიმინაციული გარემოს შექმნით უზრუნველყოფილ იქნას შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური და გამჭვირვალე ხარჯვა. ასევე, შემსყიდველმა ორგანიზაციამ უზრუნველყოს რელევანტური მიმწოდებლის შერჩევა და ამ შერჩევასთან დაკავშირებული პროცედურების კანონიერება. დამატებით აღვნიშნავთ, რომ წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება შემსყიდველ ორგანიზაციას.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-7 მუხლის პირველი და მე-8 პუნქტებით და დაადგინა:

1.დაკმაყოფილდეს ა(ა)იპ „ყაზბეგის მუნიციპალიტეტის განათლების კულტურისა და სპორტის განვითარების ცენტრის“ SMP210000552 და SMP210000553 მომართვები და შემსყიდველ ორგანიზაციას მიეცეს თანხმობა გამარტივებული შესყიდვების განხორციელებაზე.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან რაზმაძე